სერვის-ცენტრის (ვაგზლის მეურნეობის) სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის აუცილებელია მოეწყოს:

1. საბილეთო სალაროები - თანმიმდევრული წყობით(ერთმანეთისგან იზოლირებული ტიხრებით, დამოუკიდებელი კარებებით, რომლებიც უნდა იღებოდეს შიგნიდან გარეთ. კარის საკეტი უნდა უზრუნველყოფდეს სალაროდან შეუფერხებლად გამოსვლას) ერთ კორიდორულ სისტემაზე (კორიდორის სიგანე არანაკლებ 2მეტრი საევაკუაციო გასასვლელით) არანაკლებ 3 სალარო.
2. კორიდორში შესასვლელი კარი უნდა იყოს რკინის და იღებოდეს შიგნიდან გარეთ.
3. თითოეული სალაროს ზომითი პარამეტრები არანაკლებ 3.00მx2,00მ , ხოლო მოცულობით არანაკლებ 18 კუბური მეტრი თითოეული.
4. სალაროს წინა მხარე უნდა იყოს ვიტრაჟის ტიპის ანტივანდალური მინით და სათანადო ჰორიზონტალური ჟალუზით.
5. სალაროს სარკმელის თარო უნდა მოეწყოს ისე, რომ შეუძლებელი იყოს შიდა სივრცეში შეღწევა, სასურველია თანხის მისაღები ჩაღრმავებული ღიობის მოწყობა.
6. სალაროების გარე პერიმეტრი უნდა ნათდებოდეს ისე,რომ აღქმადი იყოს მომხმარებლისთვის.
7. სალაროების თავზე უნდა განთავსდეს მგზავრთა ვიზუალური და ხმოვანი ინფორმაციის საშუალებები.

გარდა სალაროებისა შიდა ფართში უნდა მოეწყოს:

. სერვის-ცენტრის ხელმძღვანელის ოთახი - 16 კვ.მ.

. პასუხისმგებელი მორიგის ოთახი - 10 კვ.მ (მიერთებული სალაროების კორიდორთან)

. საპირფარეშო სერვის-ცენტრის მუშაკებისთვის - 10კვ.მ+10 კვ.მ, სულ 20 კვ.მ(ქალების და კაცებისთვის ცალცალკე, სათანადო ხელსაბანებით აღჭურვილი, მიერთებული სალაროების კორიდორთან)

. ტექნიკური მარდაჭერის ოთახი სერვერის მოსაწყობად - 6 კვ.მ.

. ოთახი (გარდერობი) თანამშრომლებისთვის - 6 კვ.მ.

. საკუჭნაო და დამლაგებლების ოთახები 4+8=12 კვ.მ

. სასადილო ოთახი თანამშრომლებისთვის ხელსაბანით აღჭურვილი - 12 კვ.მ.

. სამედიცინო პუნქტი დამხმარე სათავსოებით - 20 კვ.მ.

. ენერგოგამანაწილებელი ოთახი - 4 კვ,მ.

. დაცვის პოლიციის ოთახი - 15 კვ.მ.

შენობის შიდა პერიმეტრი უზრუნველყოფილი უნდა იყოს:

. ხელოვნური შემწოვ-გამწოვი და ბუნებრივი ვენტილაციით.

. სახანძრო უსაფრთხოების სისტემებით (სპრინკლერი და კვამლის დეტექტორი).

. საგანგებო კავშირით დაცვის პოლიციასთან.

. საგანგაშო სიგნალიზაციით.

. რადიოკვანძით მგზავრთა ხმოვანი ინფორმირებისთვის.

სერვის ცენტრის გადასასვლელი გვირაბები, სალაროებთან მისასვლელი , ბაქნებზე გასასვლელი, სანიტარულ-ჰიგიენურ კვანძებითან და მგზავრებისათვის განკუთვნილ სათავსოებთან მისასვლელი გზები ადაპტირებული უნდა იყოს შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებზე.